

## ანგარიში

### ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გოჩა შავაძის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

საკრებულოს ხელმძღვანელობა აქტიურად აგრძელებს მონაწილეობას ქვემო ქართლის გუბერნატორთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრებში. საბჭოს ძირითად მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დახმარება, მათთვის რეკომენდაციების გაწევა და ადგილობრივი პრობლემების ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიტანა.

2016 წლის საანგარიშო პერიოდში კვლავ მნიშვნელოვნ მიღწევად რჩება არსებული მუნიციპალური სერვისების დახვეწა და სრულყოფა, ადგილობრივი ფინანსური თუ მატერიალური რესურსების ეფექტური მართვა, საკრებულოსა და საზოგადოების ურთიერთობის პრინციპები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სისტემა, დოკუმენტებზე მუშაობის, ნორმატიული აქტების მომზადება-გამოცემისა და საჯარო ინფორმაციების გაცემის პრაქტიკა.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკრებულოს საქმიანობაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად საკრებულოს მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული კანონმდებლობის შესაბამისად. ამ მიმართულებით ჩვენ ვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ სხვადასხვა რესურსს. საკრებულოს ვებ და ფეისბუქის გვერდი მუდმივად განახლებადია. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მოიპოვოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია თვითმმართველობაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, გაეცნოს არსებულ პროექტებსა და პროგრამებს, ჩვენ მუდმივ კონტაქტში ვართ მოქალაქეებთან, თითოეული საკრებულოს წევრის პირადი მობილური ნომერი ხელმისაწვდომია და განთავსებულია ვებ.გვერდზე ([rustavi.gov.ge](http://rustavi.gov.ge)).

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმატებით თანამშრომლობს ქალაქის მერთან და აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა რგოლთან. საკრებულო აქტიურადაა ჩართული ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, კომპეტენციის ფარგლებში, მერიასთან ერთად მოხდინა საქმიანობის პრიორიტეტების, მიზნების, ამოცანების კორექტირება და განსაზღვრა, რაც ძირითადად შეეხო ქალაქის განვითარებას, ინფრასტრუქტურის სრულყოფას (ისეთი როგორცაა: ქალაქის იერსახე, გზებისა და ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ტროტუარების მოწესრიგება, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა, სკოლამდელი დაწესებულებების სარემონტო სამუშაოები, რომლის უმრავლესობა დამთავრდა, ხოლო დანარჩენ პროექტებზე დღესაც მიმდინარეობს სამუშაოები), სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას, კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს მოწესრიგებას.

პირადად მე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, მრავალი მიზნობრივი შეხვედრა გავმართე ჩემს საარჩევნო უბანში ადგილობრივი საკითხების ერთობლივი განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით, საჭიროებებისა და პრობლემების განსაზღვრისათვის, გადაჭრის გზების დახვეწისა და სწრაფი გადაწყვეტისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმისთვის.

ჩემს საარჩევნო უბანში (გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული) 2016 წლის განმავლობაში, პრიორიტეტულ მიმართულებებს სოციალური და ინფრასტრუქტურული პროგრამები წარმოადგენდა. სოციალური პროგრამით გამოყოფილი თანხებით დაფინანსდა: სამკურნალო-საოპერაციო თანხებით 55 მოსახლე; მედიკამენტების შესაძენად გამოყოფილი თანხებით 357 მოსახლე; უფასო კვების სასადილო მოემსახურა ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლე 318 ბენეფიციარს და დამატებით 18 ბენეფიციარს. ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ 7 უსინათლო მოსახლეს დაუფინანსდა ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის გადასახადები.

გარდა ამისა, 2016 წელს ჩატარდა შემდეგი მნიშვნელოვანი სამუშაოები: შეიცვალა კომუნიკაციები: რჩეულიშვილის N14, ტოლსტოის N7, ჯავახიშვილის N1, N3 და N5, ბერიტაშვილის N2 და N6ა ქუჩებზე მდებარე კორპუსებში; სენსორული განათება მოეწყო ტოლსტოის (N3 2 სადარბაზო) და ჯავახიშვილის (N5 2 სადარბაზო) ქუჩაზე მდებარე კორპუსებში; რკინის კარებები დამონტაჟდა ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე (N1 2 სადარბაზო და N3 2 სადარბაზო) კორპუსებში.

გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- განხორციელდა გრანელის (N27) და გიორგაძის (N24) ქუჩებზე მდებარე კორპუსების რბილი სახურავით, ხოლო გიორგაძის (N34), მცხეთის (N9/2), ნეკრასოვის (N17 და N17ა) და გრანელის (N2) ქუჩებზე მდებარე კორპუსების გადახურვა;

- მშვიდობისა და გიორგაძის ქუჩის კვეთაზე განხორციელდა გზის საფარის რეაბილიტაცია, ხოლო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია განხორციელდა სამგორის ქუჩაზე.

ასევე, განხორციელდა ჩეხოვის ქუჩაზე მდებარე N10ა კორპუსის ტკეპის კედლებიანი ფასადის გამაგრება, ხოლო ტოლსტოის ქუჩაზე მდებარე N41 საბავშვო ბაღში მოწესრიგდა სველი წერტილები.

გარე განათებები დამონტაჟდა ბელიაშვილის ქუჩის გასასვლელში, ზედგენიძის ქუჩის ჩიხში, ზედგენიძის ქუჩაზე ე.წ. „კრეპიოჟის“ დასახლებაში, გიორგაძის ქუჩის შიდა პერიმეტრზე, სამგორის, კამოს ქუჩებსა და სამგორის ქუჩა N6-ის მიმდებარე ტერიტორიაზე.

განხორციელდა გიორგი ჯავახიშვილის სახელობის ქუჩის მემორიალური დაფის რეაბილიტაცია და ტოლსტოის ქუჩა N22-ის მიმდებარე ტერიტორიაზე საბავშვო მოედნის რეაბილიტაცია.

საინტერესო და მრავალფეროვანია ქალაქ რუსთავის კულტურული ცხოვრებაც. აღინიშნება უკვე ტრადიციად ქცეული სახალხო ზეიმი „რუსთაველაქობა“, რომლის ფარგლებშიც იმართება კონცერტები და სხვა კულტურული თუ სპორტული ღონისძიებები.

სულ საანგარიშო პერიოდში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 21 ბიუროს და 24 საკრებულოს სხდომა ჩატარდა (10 გეგმიური და 14 რიგგარეშე სხდომა), სადაც განხილული იქნა 319 საკითხი, მათ შორის, მიღებული იქნა 25 დადგენილება და 294 განკარგულება. თავმჯდომარეობდი ბიუროს 4, ხოლო საკრებულოს 5 სხდომას.

აქვე უნდა აღინიშნოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ეფექტურობა და მოწესრიგებულობა, მათი პროფესიონალიზმის შედეგად საკრებულო ყოველთვის ახერხებს დროულად და ოპერატიულად გადაჭრას ტექნიკური თუ სვა ტიპის საჭიროებები.

2015 წელს საკრებულომ დაამტკიცა 2016 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესი, ფულადი დახმარების ოდენობა და სხვა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ დაიწყო ახალი, 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საჯარო განხილვები. ცალ-ცალკე გაიმართა ბიუჯეტის ინფრასტრუქტურული, სოციალური და ჯანდაცვისა და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ნაწილების განხილვა, რის შემდეგაც გაიმართება ბიუჯეტის პროექტის შემაჯამებელი, დასკვნითი განხილვა. ბიუჯეტთან დაკავშირებული შენიშვნები და რეკომენდაციები, არსებობის შემთხვევაში, ასახული იქნება ბიუჯეტის საბოლოო პროექტში.

მინდა ასევე აღვნიშნო, რომ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა და დღესაც ფუნქციონირებს 18 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და 8 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლებიც პროგრამით გათვალისწინებულ ფარგლებში ახდენდნენ სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურულ, სოციალურ, ჯანდაცვით და კულტურულ ღონისძიებებს. საკრებულოს შესაბამის კომისიებში ხორციელდებოდა ა(ა)იპ-ების და შპს-ს დირექტორების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მოსმენა გაწეული მუშაოების თობაზე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულია საკრებულოს 5 კომისია. კომისიები მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის, სოციალური და ინფრასტრუქტურული მიზნობრივი პროგრამების, აგრეთვე კულტურული და სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა – განხორციელებისა და სხვა ამოცანების გადაწყვეტის საქმიანობაში. ახდენდნენ საკრებულოს ბიუროსა და სხდომებზე განსახილველ საკითხებზე დასკვნების მომზადებას.

ვარ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის; საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის და ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ ჩატარებული იქნა 21 სხდომა, დავესწარი 18 სხდომას, ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ ჩატარდა 5 სხდომა, დავესწარი 5 სხდომას, ხოლო საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ ჩატარდა 9 სხდომა და როგორც ახალი კომისიის წევრი, დავესწრები მიმდინარე სხდომებს.

როგორც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ყოველდღიურად ვახდენდი საკრებულოში მოქალაქეთა მიღებებს, რომლებიც ძირითადად როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივი განცხადებით მომმართავდნენ საკითხებით, რომლებიც ეხებოდა ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, დასაქმებას, საერთო საცხოვრებელი კორპუსების, საცხოვრებელი სახლის სახურავებისა და ეზოების მოწესრიგებას, გაზიფიცირებას, ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას. განცხადებები გადაეგზავნა მერიის შესაბამის სამსახურებს.

რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად ინვესტიციების მოზიდვისა და არსებული ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, ვუმასპინძლეთ საკრებულოში უცხო ქვეყნების დელეგაციებს პოლონეთიდან, ლიტვიდან, ბელორუსიდან და სხვა.

შეიძლება ითქვას, მიუხედავად გარკვეული სიძნელებისა, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გასული საანგარიშო პერიოდი წარმატებით დაასრულა, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა, განსაკუთრებით, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირების კუთხით. მოსახლეობაში დაგროვილი მატერიალური, სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემების დაძლევა მხოლოდ თანამშრომლობით, საზოგადოებრივი თანხმობით, ერთიანი ძალისხმევითაა შესაძლებელი. შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანია მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.

და ბოლოს, პირადად მე და ქალაქ რუსთავის საკრებულოს თითოეული წევრის მიზანი არის და იქნება ის, რომ რუსთავი გადავაქციოთ მაღალი დონის განვითარებულ ქალაქად, სანიმუშო ადამიანური ურთიერთობებითა და მოწესრიგებული სოციალური პირობებით.